აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email: auditprofesional@gmail.com
www.audit.ge

# საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული აუდიტორის ანგარიში

შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ 2021 წლის 12 ივლისს შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება.

შპს მისო „გლობალკრედიტი“-ს ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2021 წლის 22 სექტემბერს გამოცემულ მმართველობით ანგარიშგებაზე.

მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2021 წლის 22 სექტემბრით და გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ.

მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრას, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

რუსუდან ჟორჟოლიანი

შპს „აუდიტ - პროფესიონალი“-ს სახელით

ქუთაისი, საქართველო

22 სექტემბერი 2021 წელი

აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email: auditprofesional@gmail.com
www.audit.ge

# საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული აუდიტორის ანგარიში

შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ 2021 წლის 12 ივლისს შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება.

შპს მისო „გლობალკრედიტი“-ს ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2021 წლის 22 სექტემბერს გამოცემულ მმართველობით ანგარიშგებაზე.

მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2021 წლის 22 სექტემბრით და გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ.

მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრას, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

რუსუდან ქორქოლიანი

შპს „აუდიტ - პროფესიონალი“-ს სახელით

ქუთაისი, საქართველო

22 სექტემბერი 2021 წელი

# სარჩევი

კომპანიის საქმიანობა და რეგულაციები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 1

კომპანიის მისია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2

შეთავაზებული სერვისი და პრდუქტები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2

კონკურენციაA. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

ოპერაციებიA. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4

მოკლევადიანი გეგმა და გაყიდვის არხები. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5

რისკების მართვა და პროცედურები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6

ფინანსური აქტივების გაუფასურება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7

დეფოლტის ალბათობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 8

საბაზრო რისკი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10

კოვიდ – 19 გავლენა კომპანიის საქმიანობაზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 15

# შპს მისო „გლობალკრედიტი"

## მმართველობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით

## საქმიანობის მიმოხილვა

### კომპანიის საქმიანობა და რეგულაციები

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი დაფუძნდა 2008 წლის 10 ოქტომბერს. იგი ფუნქციონირებს ქ. ქუთაისში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. გლობალ კრედიტის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მართვას აღმასრულებელი დირექტორი. კომპანიის საქმიანობა რეგულირდება კანონით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც აწესებს სტანდარტებს მისო-ებისათვის და აკონტროლებს მისი დამფუძნებლების საქმიან რეპუტაციას. მისო დადგენილ ვადებში წარადგენს ყველა ტიპის ანგარიშგებას საქართველოს ეროვნულ ბანკში, ასევე რეგულარულად აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას კომპანიის ვებ-გვერდზე. არსებული კანომდებლობის შესაბამისად, მიკროსსაფინანსო ორგანიზაციას არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე ტიპის ანაბარი და ძირითადად ფინანსდება პარტნიორთა შენატანით, საბანკო და ინდივიდუალური სესხებით არსებული რეგულაციის ფარგლებში. ერთ კლიენტზე გასაცემის სესხის მაქსიმალური თანხა შეადგენს 100,000 ლარს.

გლობალ კრედიტი ახორციელებს კერძო, იურიდიული პირების საბრუნავი და ფიქსირებული აქტივების ფინანსირებას, ასევე გაიცემა სესხების სამომხმარებლო დანიშნულებით. კლიენტების მომსახურება ხდება კომპანიის ოფისში, რომელიც განთავსებულია ქალაქის კომერციულად აქტიურ უბანში. კლიენტები შპს გლობალ კრედიტ-ს ძირითადად მიმართავენ პროცედურების სიმარტივის გამო, ასევე კონკურენტებთან შედარებით მცირე საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

2019 წლიდან კომპანიაში გახორციელდა ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების შესაბამისი სტანდარტების დანერგვა ფიზიკური და იურიდიული პირების დაკრედიტების თვალსაზრისით. კერძოდ, ხდება მსესხებელის შემოსავლების, გასავლების დოკუმენტური დადასტურება და მათი გადახდისუნარიანობის შესწავლა. აღნიშნული ინფორმაციის კონსოლიდირება ხდება სასეხო განაცხადის ფორმაში და განიხილება საკრედიტო კომიტეტზე.

კომპანიაში დანერგილია თანამედროვე საოპერაციო პროგრამა, რომელიც შემუშავებულია "ალტა სოფთვეარი"-ს მიერ. პროგრამა უზრუნვეყოფს კოპანიის ოპერაციების სრულყოფილ აღრიცხვასა და ანალიზს. ამავე დროს, მზადდება დეტალური ფინანსური და საკრედიტო ანგარიშგების მომზადება ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული პარამეტრების მიხედვით.

### კომპანიის მისია

გლობალ კრედიტის მიზანს წარმოადგენს დააფინანსოს კერძო სექტორი და კომპანიები, რათა უზრუნველყოს მათი სტაბილური ზრდა და პერსპექტივა. ასევე, გასცეს სესხები დამწყებ ბიზნესზე და შექმნას დამატებითი დასაქმების შესაძლებლობები. კომპანია გეგმავს მოიზიდოს დამატებითი რესურსი საქმიანობის გაფართოების მიზნით. გავხსნას ახალი ფილიალები, დანერგოს ახალი პრდოდუქტები და გაზარდოს კლიენტურის ბაზა. მიუხედავად ამისა, ბიზნეს გეგმა არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან ცვლილებას კომპანიის სტრატეგიაში და მეთოდოლოგიაში. დაგეგმილი ზრდის ტემპი სავსებით შეესაბამება პორთფელის არსებულ დინამიკას.

*<u>კომპანიის მესაკუთრეები და მმართველი გუნდი</u>*

კომპანია წარმოადგენს 100%-ით კერძო საკუთრებას. მისი დამფუძნებლები მოღვაწეობენ სხვადსხვა ბიზნესში და გააჩნიათ დადებითი რეპუტაცია.

სოსო ჭანტურია, 40%-ანი წილი მფლობელი. ელგუჯა თავბერიძე, 40%ანი წილის მფლობელი. თემურ ნიკოლაძე 20%-ის მფლობელია, ის ასევე კომპანიის დირექტორია და განსაზღვრავს კომპანიის განვითარების ძირითად მიმართულებებს.

კომპანიაში ხელმძღვაბელ პოზიციებზე დასაქმებულია სათანადო გამცოდილების სპეციალისტები:

**ნატალია ლილუაშვილი** — მთავარი ბუღალტერი: 30 წლის განმავლობაში მუშაობდა საბანკო დაწესებულებების საფინანსო განყოფილებაში.

**გიორგი ნიკოლაძე** — პროექტების მენეჯერი: 19 წლის განმავლობაში მუშაობდს სხვადასხვა ბანკში საკრედიტო, საოპერაციო განყოფილებებში

**გიორგი ცერცვაძე** — საკრედიტო განყოფილების უფროსი: გააჩნია მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში 10 წლიანი მუშაობის გამოცდილება

## კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისი და პრდუქტები

მიმდინარე ეტაპზე კომპანია გასცემს სესხებს ბიზნეს და სამომხმარებლო დანიშნულებით მაქსიმუმ 10 წლის ვადით. ბიზნესის შემთხვევაში, ძირითადად ფინანსდება საბრუნავი და ფიქსირებული აქტივები. სამოხმარებლო სესხები გაიცემა რემონტისათვის, ავტომობილისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენის მიზნით:

შეთავაზებული პროდუქტების ჩამონათვალი:

| პროდუქტი | მიზნობრიობა | პროცენტის დიაპაზონი | გაცემის საკომისიო | უზრუნველყოფა |
|---|---|---|---|---|
| ბიზნეს სესხი | ფიქსირებული აქტივების შეძენა | 15-30% | 0.5 – 2% | პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება |
| ბიზნეს სესხი | სარემონტო სამუშაოები | 15-30% | 0.5 – 2% | პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება |
| ბიზნეს სესხი | საბრუნავი საშუალებები | 15-30% | 0.5 – 2% | პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება |
| სამომხმარებლო სესხი | ავტომობილის შეძენა | 15-36% | 0.5 – 3% | პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება |
| სამომხმარებლო სესხი | საყოფაცხოვრებო ტექნიკა | 15-36% | 0.5 – 3% | პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება |
| სამომხმარებლო სესხი | სესხის რეფინანსირება | 15-36% | 0.5 – 3% | პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება |
| სამომხმარებლო სესხი | რემონტი | 15-36% | 0.5 – 3% | პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება |
| სალომბარდე სესხი | სამომხმარებლო მიზნობრიობა | 12-24% | 0% | ძვირფასი ლითონები / პერსონალური გარანტია |

*კომპანიას კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო აქვს – თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა – 0%, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.5%, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.5%, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის*

*მომენტში კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 1%, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 2%*

სესხის მაქსიმალური თანხაა 100,000 ლარი. 10,000 ლარამდე სესხების გაიცემა პერსონალური გარანტიის საფუძველზე. უძრავი ქონების შემთხვევაში დატვირთული ქონების საბაზრო ფასი შეადგენს სესხის თანხის 120%-ს, ხოლო მანქანა დანადგარების შემთხვევაში კრედიტის თანხის 200%-ს. სესხის დამტკიიცების/უარყოფის ვადა – 1 დღე.

## კონკურენცია

მიმდინარე ეტაპზე მიკროსაფინანსო ბაზარი მაღალი კონკურენციით ხასიათდება. განსხვავებულ სეგმენტზე მოქმედი კომპანიები აქცენტს აკეთებენ სხვადასხვა ფაქტორებზე არსებული სტრატეგიიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

გლობალ კრედიტს უჭირავს თავისი ნიშა ბანკსა და მისო-სშორის. პიროვნული ნდობა, ლოიალურობა და რეპუტაცია მნიშვნელოვან როსლ თამაშობს კლიეტების მოზიდვის კუთხით. არსებული მმართველობის ფარგლებში პორთფელის მოცულობა და მოთხოვნა სტაბილურია, თუმცა მნიშვნელოვანი ზრდა არ აღინიშნება.

*<u>ორგანიზაციული სტრუქტურა</u>*

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტრუქტურა დაყოფილია ოთხ ძირითად განყოფილებად:

| | |
|---|---|
| საფინანსო სამსახური | უზრუნველყოფს კომპანიის აღრიცხვისა და ფინანსური გატარებების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას |
| საკრედიტო განყოფილება | სასესხო პორთფელის მართვა და მონიტორინგი |
| იურიდიული სამსახური | შახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობა და პრობლემური კლიენტების მართვა |
| სალარო | ყოველდღიური ოპერაციების წარმართვა |

*<u>ოპერაციები</u>*

კოპანიის ოპერაციები შეიძლება დაიყოს 3 ძირითად კატეგორიად:

- ბიზნეს და სამომხმარებლო სესხები;
- სწრაფი გზავნილები;
- კონვერტაციები;

პროცესების წარიმართება ქვემოთმოცემული დიაგრამის შესაბამისად:

სესხის გაცემა



გზავნილების მიღება




გაგზავნა




კონვერტაცია




## მოკლევადიანი გეგმა

მიმდინარე ეტაპზე გლობალ კრედიტს გააჩნია კლიენტთა სტაბილური ბაზა, რომელთა დაკმაყოფილება ხდება არსებულ რესურსებზე დაყრდნობით. ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე კომპანია არ გეგმავს მნიშვნელოვან ცვლილებებს მართვის სრატეგიაში. პროცედურების სრული დაცვით მოხდება სესხების გაცემა და მაღალი გადახდისუნარიანობის მქონე კლიენტების მობილიზება, პორთფელის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით.

## გაყიდვის არხები

მიმდინარე ეტაპზე გაყიდვის არხი წარმოდგენილია კომპანიის ოფისის სახით ქალაქის ეკონომიკურად აქტიურ უბანში, სადაც ასევე ფუნქციონირებს სათაო სტრუქტურა. ვინაიდან კომპანიას არ გააჩნია საკმარისი რესურსების ფარგლებში, ერთი ოფისი სავსებით საკმარისია არსებული კლიენტების დაკმაყოფილებისათვის.

## ანალიტიკური ინფორმაცია

### კომპანიის საკრედიტო პორთფელი წლების მიხედვით (ლარი):

| წელი | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საკრედიტო პორთფელი | 3,763,468 | 3,895,396 | 4,106,375 | 4,318,042 | 4,630,715 | 3,845,919 | 3,503,449 | 3,144,395 |
| სულ აქტივები | 3,911,267 | 4,265,780 | 4,518,467 | 5,016,085 | 5,331,284 | 4,490,488 | 4,271,327 | 3,787,883 |
| მოგება | 680,237 | 553,553 | 569,651 | 421,267 | 424,086 | 120,143 | 361,676 | 56,575 |

## კომპანიის განვითარება

### პროგრამული უზრუნველყოფა

ინფორმაციის მართვის სისტემების გაუმჯობესების მიზნით კომპანიას ხელშეკრულება გააფორმებული აქვს კომპანიასთან “ალტა სოფთვეარ”, რომელიც თანამშრომობს საქართველოს უმსხვილეს ბანკებსა და საფინანსო ინსტიტუტებთან. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით სრულდება როგორც

ყოველდღიური ოპერაციები, ასევე ეროვნული ბანკისათვის მისაწოდებელი საკმაოდ დეტალური ფინანსური ანგარიშგებები.

გარდა ამისა, გაფორმდა ხელშეკრულება და დაინერგა პროგრამა "ტრანსგარდი", რომელიც უზრუნველყოფს კლიენტების სრულყოფილ იდენტიფკაციას, მათ გადამოწმებას ტერორისტულ, პოლიტიკურად აქტიურ პირთა სიებში.

კომპანია ასევე ჩართულია "კრედიტ ინფოს"-ს გლობალურ ბაზაში, სადაც ხდება კლიენტების გადამოწმება არსებული დავალიანებების შესწავლის მიზნით. ამასთან ერთად რეგულარულად იტვირთება ინფორმაცია ჩვენი კომპანიის მსესხებელების არსებული ვალდებულებების შესახებ.

აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია, რათა სრულყოფილად დაკმაყოფილდეს ახალი რეგულაციის მოთხოვნები მსესხებლების გადახდისუნარიანობის შესწავლის მიზნით.

**რეზერვები**

კომპანიაში ჩატარდა ინტენსიური მუშაობა არსებული პროცედურების რეზერვების რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მოხდა საკრედიტო პორთფელში არსებული კლიენტების ხელახალი განხილვა და რისკების ადეკვატურ კატეგორიაში მოქცევა.

**მსესხებელების შემოსავლების ანალიზი**

კომპანიაში შევიმუშავეთ შემოსავლების შესწავლის ბანკებში არსებულ მეთოდოლოგიის ანალოგიური სისტემა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს შემოსავლების სათანადო ანალიზის შედეგად გავცეთ სესხები და მისაღებ დონეზე ვმართოთ პორთფელის რისკები.

## რისკების მართვა, პოლიტიკა და პროცედურები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- ✓ საკრედიტო რისკი;
- ✓ ლიკვიდურობის რისკი;
- ✓ საბაზრო რისკი:
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი;
  - სავალუტო რისკი;

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას შეიძლება წარმოექმნას რისკები არის შემდეგი:

ფული და ფულადი ეკვივალენტები
გაცემული სესხები
სხვა აქტივები
მიღებული სესხები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლტიკა მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექნიზმების განსაზღვრის, რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და კომპანიაზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებზე.

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მეპაიეებისათვის სესხების გაცემა და წევრების ფინანსური უზრუნველყოფა, ამდენად საკრედიტო რისკი დიდ როლს თამაშობს ორგანიზაციის რისკების მართვაში.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო კომიტეტი და ამტკიცებს კომპანიის ხელმძღვანელი. ხელმძღვანელისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულ პირობებს. წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. ამისათვის ის იყენებს შეფასების მოდელებს და განცხადებაში წარდგენილი ინფორმაციის შემოწმების პროცედურებს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

მონიტორინგის საფუძველზე კლიენტის გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები და მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. მონიტორინგის შედეგები ყოველთვიურად წარედგინდება კომპანიის ხელმძღვანელს, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მოსალოდნელ რისკებზე. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის დროულ განეიტრალებას.

**ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასება**

ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა კომპანიის მიდგომები გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებთან დაკავშირებთ. ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL)-ის დაანგარიშებას კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისათვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

გაუფასურების ანარიცხები ეფუძნება (ECL)-ს, რომელიც გაანგარიშებულია 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით, თუ არ შეიმჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან გაუფასურების სხვა ნიშნები რეზერვების შექმნის თარიღიდან, რა შემთხვევაშიც მოსალოდნელი საკრედიტო რეზერვის ზარალი დაეყრდნობა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. 12 თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძლიზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდენლი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა დადგეს საანგარიშო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით 2018 წლის პირველი იანვრიდან თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასდება, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც გაითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში შესაბამისად კომპანია აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 ეტაპებად და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად:

***პირველი ეტაპი:***

სესხების თავდაპირველი აღიარებისას ორგანიზაცია ქმნის რეზერვს თორმეტი თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

***მეორე ეტაპი:***

როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობოს მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე ეტაპიდან.

***მესამე ეტაპი:***

სესხები, რომელიც გაუფასურებულად მიიჩნევა. კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდენელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.

### შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება და შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არესებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებებს შესაბამისად. ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად რისკის მართვის პროცესში, საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია, რომელიც გარკვეულ მოდელების გამოყენებას გულისხმობს.

კომპანია ფასს 9-ის მოთხოვნებით საკრედიტო ზარალის (ECL) გასაზომად შემდეგ მოდელებს იყენებს.

- ✓ დეფოლტის ალბათობა (PD)
- ✓ დეფოლტით გამოწვეული დანაკარგი (LGD)
- ✓ დეფოლტის რისკი პოზიცია (EAD)

აღნიშნული პარამეტრები შეფასებულია შიდა სტატისტიკური და ისტორიული მონაცებების გამოყენებით და გამიზნულია სამომავლო პროგნოზის ასახვისათვის.

**მოსალოდენლი საკრედიტო დანაკარგი ECL შეფასება**

კომპანია მოსალოდენლ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. ECLფასდება ინდივიდუალურად ისეთი სესხების მიმართ, რომელმაც განიცადა გაუფასურების ზარალის გამომწვევი მოვლენა, ასეთი მსესხებლებისათვის ანალიზდება სხვადასხვა იმფორმაცია; ფინასური რისკები, ვადაგადაცილების სტატუსი, რესტრუქტურიზაცია, უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება.

ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისათვის ფასდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული, კომპანიის მიერ მისაღები ფულადი ნაკადებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდენლი თანხების გათვლაში ჩაირთვება უზრუნველყოფის რეალიზაციით მიღებული თანხები.

***ECL-ის შეფასება ჯგუფურად***

სესხების ჯგუფურად შეფასებისათვის, კომპანია პორტფელს ყოფს სამ სეგმენტად: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, ძვირფასი ლითონებით და სხვა უზრუნველყოფით უზრუნველყოფილი სესხები და არაუზრუნველყოფილი სესხები. თითოეული სეგმენტი კომპანიის მიერ შეფასებული მსგავსი საკრედიტო რისკის შესაბამისად იყოფა 7 ჯგუფად. კომპანიის (ECL)-ის შეფასების მიდგომა ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

| საკრედიტო პორტფელის სეგმენტი | ვადაგაც. დღეები | რესტრუქტ. სესხი | ეტაპი |
|---|---|---|---|
| **უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები** | 0 | არა | I |
| | 1-30 | არა | I |
| | 31-60 | არა | II |
| | 61-90 | არა | II |
| | 0-90 | დიახ | II |
| | >90-ზე | დიახ | III |
| | >90-ზე | არა | III |
| **ძვირფასი ლითონებით და სხვა უზრუნველყოფით უზრუნველყოფილი სესხები** | 0 | არა | I |
| | 0-30 | არა | I |
| | 30-60 | არა | II |
| | 60-90 | არა | II |
| | 0-90 | დიახ | II |
| | >90-ზე | დიახ | III |
| | >90-ზე | არა | III |
| **არაუზრუნვეყოფილი სესხი** | 0 | არა | I |
| | 0-30 | არა | I |
| | 30-60 | არა | II |
| | 60-90 | არა | II |
| | 0-90 | დიახ | II |
| | >90-ზე | დიახ | III |
| | >90-ზე | არა | III |

**დეფოლტის განსაზღვრა**

კომპანია დეფოლტს აღიარებს შემდეგ შემთხვევაში:

- ✓ მსესხებლის გარდაცვალება;
- ✓ გარე ფაქტორები, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და რომლის გამოც კლიენტი გადახდის უუნარო ხდება;
- ✓ 90 დღეზე ვადა გადაცილებული სესხები.

დეფოლტის განსაზღვრა შესაბამისობაშია ფასს 9-ის რეგულაციების მიხედვით 90 დღიანი ვადაგადაცილების პრეზუმციასთან.

**საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, საგრძნობლად გაიზარდა თუ არა ფინანსურ ისტრუმენტებზე საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია მხედველობაში იღებს სათანადო და არგუმენტირებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ იმფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ძალისხმევისა და ხარჯების გარეშე. ეს დაფუძნებულია წარსულ გამოცდილებაზე და

მომავლის პროგნოზისათვის საჭირო იმფორმაციაზე. რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ძალისხმევისა და ხარჯების გარეშე.

როდესაც აქტივზე ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტია, კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა და აქტივი ხვდება გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე ანუ დანაკარგის რეზერვი იქმნება მთელი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

ასევე აქტივების კატეგორია, რომელიც კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით არის „საყურადღებო სესხი" მიიჩნევა რისკის მნიშვნელოვან ზრდად. რესტრუქტურიზირებული სესხები, როცა მოდიფიკაცია არ არსი დაკავშირებული მატერიალურ ზარალთან ჩაითვლება რისკის მნიშვნელოვან ზრდად და მიეკუთვნება მე -2-ე ეტაპს.

**დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტის (PD) განსაზღვრა**

თითოეული სეგმენტისათვის დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტების გასაზღვრისას კომპანია იყენებს (გასული ორი წლის) ისტორიულ მონაცემებსა და ვადაგადაცილების მონაცემებზე დაყრდნობით დეფოლტის სტატისტიკურ ანალიზს.

კომპანია ითვლის გასული ორი წლის ყოველთვიურ ნაშთებს ვადაგადაცილებული ჯგუფების და სესხის ეტაპების მიხედვით, რომლის შედეგადაც მიიღება პროცენტული წილი თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის, რაც ასახავს სესხის გადასვლის ალბათობას ერთი ეტაპიდან მეორეში.

გასული ორი წლის ყოველთვიური მონაცემებიდან მიიღება საშუალო ყოველთვიური განაკვეთები, რომლებიც შემდეგ გამრავლებულია მატრიცის წესზე, (8 წლის განმავლობაში) ვადაგადაცილებული ერთი ჯგუფიდან მეორეზე სესხის გადასვლის ალბათობის დასადგენად.

თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის მიღებული დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტები გამოიყენება მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად.

**დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD) განსაზღვრა**

გაუფასურების მოდელის კიდევ ერთი კომპონენტია (LGD). ის გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისათვის რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენების გამოსათვლელად კომპანია იყენებს ბოლო ორი წლის განმავლობაში გადეფოლტებული სესხების მაჩვენებელს და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხების შემოდინებებს ყოველ წლიურ ჭრილში. ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის დაანგარიშება ხდება ცალ-ცალკე თითოეული სეგმენტისათვის.

**დეფოლტის რისკის პოზიციის (EAD) განსაზღვრა**

(EAD) წარმოადგენს პოტენციური დეფოლტის მომენტში ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას. ეს წარმოადგენს ეფექტური საპროცენტი განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადს დეფოლტის მომენტში.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია ყველა სეგმენტისათვის ცალ-ცალკე დაანგარიშდება, მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულიხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, %-ის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციის დათვლა ხდება სეგმენტის საშუალო საკონტრაქტო ვადიანობის განმავლობაში, თითოეულ წელს ცალ-ცალკე.

**საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება**

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოთვლებში კომპანია იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მოიცავს ეკონომიური ინდიკატორების პროგნოზს, რომელსაც ეროვნული ბანკი აქვეყნებს პერიოდულად. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნის სამი ეკონომიკური სცენარი

(საბაზისო, პესიმისტური, ოპტიმისტური). თითოეული მათგანი დეფოლტის განსხვავებულ ალბათობას იძლევა. ამ სცენარების შეწონვა ქმნის დეფოლტის საშუალო შეწონილი ალბათობის საფუძველს, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო დანახარჯების გამოთვლაში გამოიყენება.

კომპანია დეფოლტის ალბათობის გამოთვლისათვის იყენებს საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტის და ინფლაციის განაკვეთის მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, თუ მშპ-სთან და ინფლაციასთან კორელაცია 0.5-ზე მეტი ან -0.5-ზე ნაკლებია.

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები" მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს მაკროეკონიმიკური ინდიკატორების პროგნოზებს სხადასხვა სცენარით და მათ წონას გამოთვლებში. საბაზისო სცენარი ყველაზე სავარაუდო სცენაირა და მისი წონა გამოთვლებში 50%-ია. პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარების წონა 25%-ია. კომპანია იყენებს ვასიჩეკის მოდელს საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირებისას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მაკროეკონომიკურ ფაქტორებსა და დეფოლტის კოეფიციენტებს შორის ძლიერი კორელაცია არ დაფიქსირდა და შესაბამისად საკრედიტო ზარალის გაანგარიშებისას მისი გამოყენება არ მომხდარა.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ სავალუტო კურსების რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია კომპანიაზე მათი გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

კლიენტებზე ყველა სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით გაიცემა. კომპანიას ასევე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე მნიშვნელოვანი პროცენტიანი ვალდებულებები აქვს, რომელთა უმეტესობისთვისაც საპროცენტო განაკვეთს აწესებს კომპანია. ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მნიშვნელოვანი რისკი.

კომპანია პროცენტის დარიცხვას აჩერებს იმ გაცემულ სესხებზე, რომელთა ამოღება გართულებული იყო და სასამართლოს მიერ სათანადო გადაწყვეტილებაა მიღებული. არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოების გათვალისწინებით, კომპანია უკიდურეს შემთხვევებში მიმართავს სააღსრულებო ბიუროს, კუთვნილი თანხების იძულებით დასაბრუნებლად.

**საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზი.**

საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვა ხდება საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის შედარებითი მდგომარეობა, ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის:

| | 3 თვეზე ნაკლები | 3-6 თვე | 6-12 თვე | 1-5 წელი | 5 წელზე მეტი | უპროცენტო | საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2020** | | | | | | | |
| **აქტივები** | | | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | - | - | - | - | - | 295 220 | **295 220** |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 541 861 | 302 304 | 497 521 | 1 499 463 | 303 246 | - | **3 144 395** |
| **სულ** | **541 861** | **302 304** | **497 521** | **1 499 463** | **303 246** | **295 220** | **3 439 615** |
| **ვალდებულებები** | | | | | | | |
| მიღებული სესხები | (1 086 206) | (159 802) | (151 780) | - | - | - | **(1 397 788)** |
| **სულ** | **(1 086 206)** | **(159 802)** | **(151 780)** | - | - | - | **(1 397 788)** |
| **გადაფარვა** | **(544 345)** | **142 502** | **345 741** | **1 499 463** | **303 246** | **295 220** | **2 041 827** |

| | 3 თვეზე ნაკლები | 3-6 თვე | 6-12 თვე | 1-5 წელი | 5 წელზე მეტი | უპროცენტო | საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2019** | | | | | | | |
| **აქტივები** | | | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | - | - | - | - | - | 481 298 | **481 298** |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 362 199 | 320 790 | 548 319 | 1 909 988 | 362 153 | - | **3 503 449** |
| **სულ** | **362 199** | **320 790** | **548 319** | **1 909 988** | **362 153** | **481 298** | **3 984 747** |
| **ვალდებულებები** | | | | | | | |
| მიღებული სესხები | (258 635) | (440 563) | (1 133 014) | (111 524) | - | - | **(1 943 736)** |
| **სულ** | **(258 635)** | **(440 563)** | **(1 133 014)** | **(111 524)** | - | - | **(1 943 736)** |
| **გადაფარვა** | **103 564** | **(119 773)** | **(584 695)** | **1 798 464** | **362 153** | **481 298** | **2 041 011** |

## საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები ასახავს ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვამდე შემოსავლიანობის მიახლოებით მაჩვენებელს.

| | **2020** | | | **2019** | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **საშუალო ეფექტური განაკვეთი %** | | | **საშუალო ეფექტური განაკვეთი %** | | |
| | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | ლარი | აშშ დოლარი | ევრო |
| **საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები** | | | | | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 25% | 27% | 0% | 27% | 27% | 0% |
| **საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ვალდებულება** | | | | | | |
| მიღებული სესხები | 10% | 5% | 3% | 12% | 12% | 10% |

## სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო გაცვლითი კურსის გამო.

ქვემოთ მოტანილ ცხრილებში ასახულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო პოზიციის გავლენის სტრუქტურა 2020 და 2019 წლის 31 დეკებრის მდგომარეობით:

| 31 დეკემბერი 2020 | EUR ეკვ. ლარი | USD ეკვ. ლარი | RUR ეკვ. ლარი | TRY ეკვ. ლარი | სულ ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 8 995 | 16 323 | 3 682 | 112 | 29 111 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | - | 331 014 | - | - | 331 014 |
| **სულ აქტივები** | **8 995** | **347 337** | **3 682** | **112** | **360 125** |
| **ვალდებულებები** | | | | | |
| მიღებული სესხები | (10 058) | (933 176) | - | - | (943 234) |
| **სულ ვალდებულებები** | **(10 058)** | **(933 176)** | **-** | **-** | **(943 234)** |
| **წმინდა პოზიცია** | **(1 063)** | **(585 839)** | **3 682** | **112** | **(583 109)** |

| 31 დეკემბერი 2019 | EUR ეკვ. ლარი | USD ეკვ. ლარი | RUR ეკვ. ლარი | TRY ეკვ. ლარი | სულ ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 8 859 | 335 187 | 3 782 | 1 340 | 349 167 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | - | 132 047 | - | - | 132 047 |
| **სულ აქტივები** | **8 859** | **467 234** | **3 782** | **1 340** | **481 214** |
| **ვალდებულებები** | | | | | |
| მიღებული სესხები | (19 722) | (1 333 602) | - | - | (1 353 324) |
| **სულ ვალდებულებები** | **(19 722)** | **(1 333 602)** | **-** | **-** | **(1 353 324)** |
| **წმინდა პოზიცია** | **(10 863)** | **(866 368)** | **3 782** | **1 340** | **(872 110)** |

ქვემოთ მოცემულია წლის განმავლობაში გამოყენებული მნიშვნელოვანი სავალუტო გაცვლითი კურსები:

| | **საშუალო განაკვეთი** | | **სპოტ განაკვეთი ანგარიშსწორების თარიღისათვის** | |
|---|---|---|---|---|
| | **2020** | **2019** | **2020** | **2019** |
| 1 აშშ დოლარი | 3.1090 | 2.8182 | 3.2766 | 2.8677 |
| 1 ევრო | 3.5504 | 3.1543 | 4.0233 | 3.2095 |

## ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა განსხვავებულია. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. სრული შესაბამისობის მიღწევა ფინანსურ

ინსტიტუტში იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც სხვადასხვა ტიპისაა.

კომპანია მართავს ლიკვიდურობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადადამდგარი, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსება, რომელიც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს ბანკებისა და სხვა პირებისაგან, რათა შეძლოს სწრაფად და შეუფერხებლად უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებს.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს:

- მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განსაზღვრას ძირითადი ვალუტების მიხედვით და ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელი იქნება ამ კუთხით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას;
- ვალდებულებების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- ვალდებულებების დაფინანსებების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული თანხების ანალიზი:

| | 3 თვეზე ნაკლები | 3-6 თვე | 6-12 თვე | 1-5 წელი | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2020 წელი** | | | | | | |
| **აქტივები** | | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 295 220 | - | - | - | - | **295 220** |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 541 861 | 302 304 | 497 521 | 1 499 463 | 303 246 | **3 144 395** |
| სხვა აქტივები | 247 095 | - | - | - | - | **247 095** |
| **სულ** | **1 084 176** | **302 304** | **497 521** | **1 499 463** | **303 246** | **3 686 710** |
| **ვალდებულებები** | | | | | | |
| მიღებული სესხები | (1 086 206) | (159 802) | (151 780) | | - | **(1 397 788)** |
| საიჯარო ვალდებულება | (22 646) | | | | | **(22 646)** |
| სხვა ვალდებულებები | (18 661) | - | - | - | - | **(18 661)** |
| **სულ** | **(1 127 514)** | **(159 802)** | **(151 780)** | **-** | **-** | **(1 439 095)** |
| **გადაფარვა** | **(43 338)** | **142 502** | **345 741** | **1 499 463** | **303 246** | **2 247 615** |

| | 3 თვეზე ნაკლები | 3-6 თვე | 6-12 თვე | 1-5 წელი | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2019 წელი** | | | | | | |
| **აქტივები** | | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 481 298 | - | - | - | - | **481 298** |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 362 199 | 320 790 | 548 319 | 1 909 988 | 362 153 | **3 503 449** |
| სხვა აქტივები | 159 034 | - | - | - | - | **159 034** |
| **სულ** | **1 002 531** | **320 790** | **548 319** | **1 909 988** | **362 153** | **4 143 781** |
| **ვალდებულებები** | | | | | | |
| მიღებული სესხები | (258 635) | (440 563) | (1 133 014) | (111 524) | - | **(1 943 736)** |
| საიჯარო ვალდებულება | (15 406) | - | - | - | - | **(15 406)** |
| სხვა ვალდებულებები | (19 972) | - | - | - | - | **(19 972)** |
| **სულ** | **(294 013)** | **(440 563)** | **(1 133 014)** | **(111 524)** | **-** | **(1 979 114)** |
| **გადაფარვა** | **708 517** | **(119 773)** | **(584 695)** | **1 798 464** | **362 153** | **2 164 667** |

## კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები. ამ მოთხოვნების მიზანია განმტკიცდეს საკმარისი გადახდისუნარიანობის ზღვრები. კომპანიის მიზანია შეასრულოს ეს მოთხოვნები და შესაბამისად, იგი აკმაყოფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია არანაკლებ 1 000 000 ლარისა.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს, რომ დაიცვას კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი, რათა მან გააგრძელოს პარტნიორთა შემოსავლით უზრუნველყოფა, ასევე უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი რისკის დონის შესაბამისი მომსახურების ფასების დაწესებით.

კომპანია კაპიტალის სიდიდეს განსაზღვრავს რისკის პროპორციულად. კომპანია ახორციელებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას და მასში კორექტირებები შეაქვს ეკონომიკურ პირობებსა და შესაბამის აქტივებთან დაკავშირებულ რისკის მახასიათებლებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს მესაკუთრეებისთვის გადასახდელი დივიდენდების სიდიდე, დაუბრუნოს მესაკუთრეებს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

## კომპანიის საქმიანობაზე კოვიდ-19 - ის გავლენა

კოვიდ 19 -ის გავლენის შედეგად კომპაია აღმოჩნდა ახალი გარემოებების ზემოქმედების ქვეშ. შედეგად კომპანიის მიერ შემუშავებულ იქნა ახლებური მიდგომა წამოჭრილი საკითხების მიმართ, ასევე მომზადდა სტანდარტული და დამატებითი ანგარიშები არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

## ფინანსური პროგნოზი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის 2 ძირითადი ფაქტორია, რომელზეც გავლენას ახდენს კოვიდ -19 შედეგად არსებული ტენდენციები. ეს არის სესხების გასცემა და კლიენტების მიერ განხორციელებული დაფარვები სესხის ძირისა და პროცენტის სახით.

სესხების გაცემა: სესხების გაცემა მნიშვნელოვანია კომპანიის სასესხო პორტფელის სტაბილური მოცულობის შენარჩუნებისათვის. კოვიდ-19 ის პერიოდში, როდესაც კომპანიებმა დროებით შეწყვიტეს მუშაობა, მსესხებლებმა სრულად ან ნაწილობრივ დაკარგეს შემოსავლის წყარო და გაუარესებული ფინანსური მდგომარეობის ფონზე სესხების გაცემა შემცირდა. ზოგადად, არსებულმა შეფერხებებმა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შემცირდა მსესხებელთა შემოსავლი, რომელიც აუცილებლად აღდგება რამოდენიმე თვის პერსპექტივაში, თუმცა ბაზარზე არსებული გაურკვევლობიდან გამომდინარე, კომპანიამ აირჩია

საკრედიტო დაბანდების ზრდის კონსერვატიული პოზიცი. აღნიშნული მიდგომა არ აზარალებს კომპანიას გრძელვადიან პერსპექტივაში, ვინაიდან გაცემების შემცირება საგრძნობლად არ აისახება კომპანიის პორტფელზე და ადვილად შეიძლება დაკომპესირდეს პოსტ კოვიდ-19 ის პერიოდში.

**სესხის დაფარვა:**

მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე იმოქმედა იგივე, ზემოთმოყვანილმა ფაქტორმა, ვინაიდან კლიენტების ნაწილს შეუმცირდა ან დაკარგა შემოსავლის წყარო.

თუმცა ცვლილება არ არის კრიტიკული, ვინაიდან იგი მერყეობს 20-25% -ის ფარგლებში და უკვე შეინიშნება დადებითი ტენდენცია.

უაღრესად პესიმისტური დაშვებით, თუშემოსავალი კიდევ შემცირდება 50%-თ, რაც ნაკლებად სავარაუდოა, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შეწყვეტს სესხების გაცემას და აღნიშნული 50,000 ლარი იქნება დანახარჯების კომპენსირებისთვის.

ასევე შესაძელბელია საჭიროების შემთხვევაში განხილულ იქნეს ხელფასებისა და სხვა ხაჯების შმცერების საკითხი.

**დაფინანსების წყაროები:**

კომპანიის დაფინანსების 2 ძირითადი წყაროა ბანკის სესხები და ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის რაიმე გრანტი ან სუბსიდირება ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ არის.

კომპანია შპს „მისო გლობალკრედიტი“ პანდემიის პირველი დღეებიდან აქტიურად ჩაერთო და ითვალისწინებს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, რათა შექმნას უსაფრთხო გარემო. ასევე აკეთებს მომავალ პროგნოზებს, ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. მაქსიმალურად ცდილობს კლიენტებსთვის და თანამშრომლებისთვის დისტანციური მუშაობის ხელშეწყობას.

პანდემიის დასაწყისიდან, ფინანსური არასტაბილურობის განცდის საპასუხოდ და რისკების გასათვლელად, მოვამზადეთ საპროგნოზო ბიზნეს გეგმა და ფულადი ნაკადების უწყისი. წარმოდგენილი ინფორმაცია ფულის მიმოქცევის ჭრილში იძლევა გარანტიას მასზედ, რომ კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება. ყველაზე ცუდი სცენარით განვითარების შემთხვევაშიც არსებული რეზერვები (ბანკში განთავსებული სადეპოზიტო თანხები) გვაძლევს საშუალბას კომპანიის მიერ ფიზიკური პირებისგან ნასესხები თანხების დაბალანსების.

მოსალოდნელი შემოსავლების დაზუსტების მიზნით, ხორციელდება ყველა მომხმარებელთან კომუნიკაცია, გამოიკითხა მათი ფინანსური მდგომარეობა, შეფასდა რისკები თითოეულ მომხმარებელთან ინდივიდუალურად. სწორედ ამის შედეგად, გვაქვს რეალური ინფორმაცია და მოლოდინი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დისტანციური მომსახურების გააქტიურების მიზნით, განცხადების მიღება შესაძლებელია როგორც ოფისში, ასევე ონლაინ არხებით ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით. სესხის გაცემა შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო (კლიენტზე პირადი საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით). დაფარვის ანგარიშწორება შესაძლებელია, როგორც ადგილზე ვიზიტით ასევე, სწრაფი გადახდის აპარატით, ინტერნეტბანკით.

შპს მისო „გლობალ კრედიტის“

22.09.2021 წელი

დირექტორი: თ. ნიკოლაძე

საკრედიტო დაბანდების ზრდის კონსერვატიული პოზიცი. აღნიშნული მიდგომა არ აზარალებს კომპანიას გრძელვადიან პერსპექტივაში, ვინაიდან გაცემების შემცირება საგრძნობლად არ აისახება კომპანიის პორტფელზე და ადვილად შეიძლება დაკომპესირდეს პოსტ კოვიდ-19 ის პერიოდში.

**სესხის დაფარვა:**

მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე იმოქმედა იგივე, ზემოთმოყვანილმა ფაქტორმა, ვინაიდან კლიენტების ნაწილს შეუმცირდა ან დაკარგა შემოსავლის წყარო.

თუმცა ცვლილება არ არის კრიტიკული, ვინაიდან იგი მერყეობს 20-25% -ის ფარგლებში და უკვე შეინიშნება დადებითი ტენდენცია.

უაღრესად პესიმისტური დაშვებით, თუშემოსავალი კიდევ შემცირდება 50%-თ, რაც ნაკლებად სავარაუდოა, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შეწყვეტს სესხების გაცემას და აღნიშნული 50,000 ლარი იქნება დანახარჯების კომპენსირებისთვის.

ასევე შესაძელბელია საჭიროების შემთხვევაში განხილულ იქნეს ხელფასებისა და სხვა ხაჯების შმცერების საკითხი.

**დაფინანსების წყაროები:**

კომპანიის დაფინანსების 2 ძირითადი წყაროა ბანკის სესხები და ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის რაიმე გრანტი ან სუბსიდირება ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ არის.

კომპანია შპს „მისო გლობალკრედიტი" პანდემიის პირველი დღეებიდან აქტიურად ჩაერთო და ითვალისწინებს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, რათა შექმნას უსაფრთხო გარემო. ასევე აკეთებს მომავალ პროგნოზებს, ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. მაქსიმალურად ცდილობს კლიენტებსთვის და თანამშრომლებისთვის დისტანციური მუშაობის ხელშეწყობას.

პანდემიის დასაწყისიდან, ფინანსური არასტაბილურობის განცდის საპასუხოდ და რისკების გასათვლელად, მოვამზადეთ საპროგნოზო ბიზნეს გეგმა და ფულადი ნაკადების უწყისი. წარმოდგენილი ინფორმაცია ფულის მიმოქცევის ჭრილში იძლევა გარანტიას მასზედ, რომ კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება. ყველაზე ცუდი სცენარით განვითარების შემთხვევაშიც არსებული რეზერვები (ბანკში განთავსებული სადეპოზიტო თანხები) გვაძლევს საშუალბას კომპანიის მიერ ფიზიკური პირებისგან ნასესხები თანხების დაბალანსების.

მოსალოდნელი შემოსავლების დაზუსტების მიზნით, ხორციელდება ყველა მომხმარებელთან კომუნიკაცია, გამოიკითხა მათი ფინანსური მდგომარეობა, შეფასდა რისკები თითოეულ მომხმარებელთან ინდივიდუალურად. სწორედ ამის შედეგად, გვაქვს რეალური ინფორმაცია და მოლოდინი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დისტანციური მომსახურების გააქტიურების მიზნით, განცხადების მიღება შესაძლებელია როგორც ოფისში, ასევე ონლაინ არხებით ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით. სესხის გაცემა შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო (კლიენტზე პირადი საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით). დაფარვის ანგარიშწორება შესაძლებელია, როგორც ადგილზე ვიზიტით ასევე, სწრაფი გადახდის აპარატით, ინტერნეტბანკით.

შპს მისო „გლობალ კრედიტის"

22.09.2021 წელი

დირექტორი: თ. ნიკაბაძე